საკლასო აქტივობა მოსწავლეებისთვის

კლასი: მე-3
მიმართულება: კანონზომიერება და ალგებრა
თემა: რეალური ვითარების ამსახველი ამოცანა
მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ რეალურ ვითარებასთან დაკავშირებული ამოცანის ამოსახსნელად ისეთი რიცხვით გამოსახულებას შედგენა და გამოყენება, რომელიც ერთ მოქმედებას შეიცავს

<u>აქტივობა N1:</u>

მასწავლებელი დაფაზე მაგნიტებით მიაკრავს წინასწარ მომზადებულ ოთხ წინადადებას (სურ. 1).



სურათი 1

იგი ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვს, ხმამაღლა წაიკითხოს ოთხივე წინადადება. ამის შემდეგ მასწავლებელი დასვამს შეკითხვებს:

_ ბავშვებო, რომელია კითხვითი წინადადება? რომელი წინადადებები გადმოსცემენ ამბავს? შეგიძლიათ ეს ოთხი წინადადება ისეთი თანმიმდევრობით დაალაგოთ, რომ ამოცანა გამოვიდეს?

მასწავლებელი დაფასთან გამოიყვანს ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელსაც სთხოვს წინადადებების გადალაგებას (სურ. 2).



სურათი 2

მითითება: სასურველია მასწავლებელმა კლასში განიხილოს 2 ან 3 მსგავსი დავალება.

ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს დაყოფს წყვილებად. თითოეულ წყვილს მისცემს ბარათს, რომელზეც დაწერილი იქნება წინადადებები (დანართი 1). წყვილებმა უნდა გამოჭრან წინადადებები და ისეთი თანმიმდევრობით დააწებონ ფურცელზე, რომ ამოცანა გამოვიდეს.

თითოეული წყვილი წაიკითხავს მათ მიერ შედგენილ ამოცანას. თუ წინადადებები არ იქნება სათანადო თანმიმდევრობით დალაგებული, მასწავლებელი ბავშვებს კიდევ ერთხელ სთხოვს წინადადებების წაკითხვას. ამის შემდეგ იგი მიმართავს კლასს:

_ ბავშვებო, ხომ არ შეცვლიდით წინადადებების თანმიმდევრობას?

მასწავლებლის ფასილიტაციით უნდა გასწორდეს წინადადებების თანმიმდევრობა.

<u>აქტივობა N2:</u>

მასწავლებელი თითოეულ წყვილს მისცემს ბარათს, რომელზეც დაწერილი იქნება ამოცანის პირობა და 4 შეკითხვა (მაგალითი იხილეთ სურათ 3-ზე). წყვილებმა, წითლად უნდა გახაზონ ის შეკითხვები, რომლებსაც ვერ უპასუხებენ მოცემული პირობის გათვალისწინებით, ხოლო მწვანედ უნდა გახაზონ ის შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც შესაძლებელია.

> სკოლის ბიბლიოთეკის ერთი ოთახიდან მეორე ოთახში წიგნების გადასატანად, 7 ყუთი მიიტანეს. ყუთებში 84 წიგნი თანაბრად გაანაწილეს.
>
> სულ რამდენი ქართულენოვანი წიგნი ჩადეს ყუთებში?
> რამდენი წიგნი დარჩა პირველ ოთახში?
> რამდენი წიგნი ჩადეს თითოეულ ყუთში?
> სულ რამდენი ინგლისურენოვანი წიგნი ჩადეს ყუთებში?

სურათი 3

მასწავლებელი თითოეულ წყვილს წააკითხებს მათთვის მიცემულ პირობას და შეკითხვებს; ჰკითხავს, რომელი შეკითხვები გახაზეს წითლად, რომელი _ მწვანედ და რატომ?

მასწავლებელი მოსწავლეებს ასევე ჰკითხავს, რა მოქმედება უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ მათ მიერ შერჩეულ შეკითხვას გაეცეს პასუხი.

შენიშვნა: მე-2 აქტივობის განხორციელებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ დანართი 2.

<u>აქტივობა N3:</u>

მასწავლებელი დაფაზე დაწერს ამოცანის პირობას, მაგალითად, ისეთს, როგორიც სურათ 4-ზეა მოცემული.



სურათი 4

ბავშვებმა ინდივიდუალურად უნდა მოიფიქრონ 3 ისეთი შეკითხვა, რომელსაც ვერ უპასუხებენ მოცემული მონაცემების გამოყენებით; ასევე უნდა მოიფიქრონ მე-4 შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც შესაძლებელი იქნება მოცემული პირობის გათვალისწინებით. ბავშვებმა მე-4 შეკითხვა ისე უნდა შეარჩიონ, რომ პასუხის გაცემა შესაძლებელი იყოს ერთი მოქმედების შესრულების შედეგად.

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს წააკითხებს მათ მოფიქრებულ შეკითხვებს; ბავშვებთან ერთად მოხდება შეკითხვების განხილვა. მოსწავლის მიერ მე-4 შეკითხვის წარმოთქმის შემდეგ, მასწავლებელი სხვა მოსწავლეს სთხოვს, დაასახელოს რა მოქმედების შესრულებაა საჭირო მე-4 შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. ერთ-ერთმა მოსწავლემ დაფაზე უნდა დაწეროს გამოსახულება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

მითითება: მასწავლებელმა კლასში უნდა განიხილოს 2 ან 3 მსგავსი დავალება.

<u>აქტივობა N4:</u>

მასწავლებელი კლასს დაყოფს წყვილებად ან სამეულებად და თითოეულ წყვილს (სამეულს) მისცემს წინასწარ მომზადებულ ბარათს (სურ. 5).

გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 40 + 10 ბ) 40 – 10 გ) 40 : 10 დ) 30 – 10	მეორე თაროზე 40 წიგნი დევს. რამდენი წიგნით მეტი დევს მეორე თაროზე? ორ თაროზე წიგნები აწყვია. პირველ თაროზე 10 წიგნი დევს.

სურათი 5

იგი წყვილებს (სამეულებს) სთხოვს, გამოჭრან ბარათის მარჯვენა მხარეს მოცემული წინადადებები და ისეთი თანმიმდევრობით დააწებონ ფურცელზე, რომ გამოვიდეს ამოცანა. ამის შემდეგ ბარათზე მოცემული გამოსახულებებიდან ბავშვებმა უნდა შეარჩიონ ის გამოსახულება, რომელიც გამოდგება მათ მიერ შედგენილი ამოცანის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.

თითოეული წყვილი (სამეული) წაიკითხავს მათ მიერ შედგენილ ამოცანას და დაასახელებს შერჩეულ გამოსახულებას. თუ წინადადებები არ იქნება სათანადო თანმიმდევრობით დალაგებული, მასწავლებელი კიდევ ერთხელ სთხოვს ჯგუფის ერთ-ერთ წევრს წაიკითხოს წინადადებები. ამის შემდეგ იგი მიმართავს კლასს:

_ ბავშვებო, ხომ არ შეცვლიდით წინადადებების თანმიმდევრობას?

მასწავლებლის ფასილიტაციით უნდა გასწორდეს წინადადებების თანმიმდევრობა.

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს განმარტონ, თუ რატომ შეარჩიეს ესა თუ ის გამოსახულება; რატომ ფიქრობენ, რომ ის დაეხმარება მათ ამოცანის კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მითითება: სასურველია მასწავლებელმა დასვას შეკითხვები: _ რა უნდა შეიცვალოს ამოცანის პირობაში ან შეკითხვაში (ან ორივეში), რომ ამოცანის ამოსახსნელად საჭირო გახდეს (ბ) გამოსახულების გამოყენება? (გ) გამოსახულების გამოყენება? (დ) გამოსახულების გამოყენება?

შენიშვნა: მე-4 აქტივობის განხორციელებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ დანართი 3.

<u>აქტივობა N5:</u>

მასწავლებელი კლასს დაყოფს სამეულებად. იგი დაფაზე დაწერს ამოცანის პირობას, რომელშიც ერთი მონაცემი გამოტოვებული იქნება. (მაგალითი იხილეთ სურათ 6-ზე).



სურათი 6

მოსწავლეთა თითოეული სამეულიდან, ერთ-ერთი მოსწავლე თავისი სურვილით შეარჩევს რიცხვს, რომელიც უნდა ჩაიწეროს ცარიელ უჯრაში. იგი შერჩეულ რიცხვს ეტყვის ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, რომელიც თავის მხრივ ფურცელზე ჩაწერს გამოსახულებას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ამოცანის კითხვაზე პასუხის გაცემა. ჯგუფის მესამე წევრი გაეცნობა შერჩეულ რიცხვს და ჩაწერილ გამოსახულებას. თუ იგი ჩათვლის, რომ გამოსახულება სწორად არის ჩაწერილი, გამოსახულების ქვემოთ დაწერს სიტყვას - „სწორია“; თუ ჩათვლის, რომ გამოსახულება არ არის სწორად ჩაწერილი, გამოსახულების ქვემოთ დაწერს წინადადებას - „არ არის სწორი“.

მასწავლებლის ფასილიტაციით მოხდება ბავშვების ნამუშევრების განხილვა.

მითითება: სასურველია მასწავლებელმა კლასში 2 ან 3 მსგავსი დავალება განიხილოს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
USAID BASIC EDUCATION PROGRAM
RTI INTERNATIONAL

რამდენი ლარი გადაიხადა ბებიამ? ქვაბების ნაკრები 29 ლარით ძვირია ჩაიდანზე. ჩაიდანი 134 ლარი ღირს. ბებიამ ქვაბების ნაკრები შეიძინა.	ლაშა ნათიაზე ნელა კითხულობს. ლაშამ 100 სიტყვის წაკითხვას 8 წამით მეტი მოანდომა, ვიდრე ნათიამ. რამდენ წამში წაიკითხა ნათიამ 100 სიტყვა? ნათიამ 100 სიტყვა 56 წამში წაიკითხა.
გუგამ და ანამ დილით ტბის გარშემო ირბინეს. რამდენი მეტრი გაირბინა გუგამ? გუგამ ანაზე 130 მეტრით მეტი გაირბინა. ანამ 790 მეტრი ირბინა.	ქვიშის საათი 26 ლარი ღირს. რა ღირს კედლის საათი? კახას კედლის საათის შეძენა სურს. კედლის საათი ქვიშის საათზე 37 ლარით ძვირია.
მათ გაფცქვნილი ატამი ერთ ქვაბში ჩაყარეს. ბებიამ 28 ატამი გაფცქვნა. რამდენი გაფცქვნილი ატამია ქვაბში? ბაბუამ 14 ატამი გაფცქვნა.	იამ ტყეში 24 სოკო იპოვა. იამ და გენომ ნაპოვნი სოკოები ბებიას მიუტანეს. სულ რამდენი სოკო მიუტანეს ბებიას იამ და გენომ? გენომ კი _ 37 სოკო იპოვა.

რამდენი ლარი გადაიხადა მამიდამ? ექვსი თეფში 29 ლარით იაფია ექვს ჭიქაზე. ექვსი ჭიქა 56 ლარი ღირს. მამიდამ ექვსი თეფში შეიძინა.	ქეთი დათოზე ნელა კითხულობს. რამდენ წამში წაიკითხა ქეთიმ 100 სიტყვა? ქეთიმ 100 სიტყვის წაკითხვას 4 წამით ნაკლები მოანდომა, ვიდრე დათომ. დათომ 100 სიტყვა 71 წამში წაიკითხა.
ლადო და მაკა ფულს აგროვებდნენ. რამდენი ლარი შეაგროვა ლადომ? ლადომ მაკაზე 9 ლარით ნაკლები შეაგროვა. მაკამ 106 ლარი შეაგროვა.	კატის საჭმელი 38 ლარი ღირს. რა ღირს ძაღლის საჭმელი? მაიას ძაღლის საჭმლის შეძენა სურს. ძაღლის საჭმელი კატის საჭმელზე 9 ლარით იაფია.
მამა და დედა კიტრს თლიდნენ. მამამ 13 კიტრი გათალა. რამდენით მეტი კიტრი გათალა დედამ? დედამ 21 კიტრი გათალა.	სანდრომ 12 ამოცანა ამოხსნა. სანდრო და მაია ამოცანებს ხსნიდნენ. რამდენით მეტი ამოცანა ამოხსნა მაიამ? მაიამ 21 ამოცანა ამოხსნა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
USAID BASIC EDUCATION PROGRAM
RTI INTERNATIONAL

კინოთეატრის მცირე დარბაზში სკამების 9 რიგია. თითოეულ რიგში 8 სკამი დგას.

ა) რამდენი მაყურებელია კინოთეატრში?
ბ) რამდენი სკამია კინოთეატრის მცირე დარბაზში?
გ) რამდენი სკამია კინოთეატრის დიდ დარბაზში?
დ) რამდენი მაყურებელია კინოთეატრის მცირე დარბაზში?

გურამს 28 კლასელი ჰყავს. მან თითოეული კლასელისთვის ორლარიანი კალმები შეიძინა.

ა) რა ფერის კალმები შეიძინა გურამმა?
ბ) რა უფრო ძვირია კალამი, თუ მარკერი?
გ) სულ რამდენი ლარი გადაიხადა გურამმა?
დ) რამდენი კლასელი გოგონა ჰყავს გურამს?

მასწავლებელმა 24 მოსწავლე ექსკურსიაზე წაიყვანა. მან თითოეულ მოსწავლეს ალუბლის თითო ნაყინი უყიდა. ალუბლის ნაყინი ორი ლარი ღირდა.

ა) რა ღირდა ალუბლის წვენი?
ბ) სულ რამდენი ლარი გადაიხადა მასწავლებელმა?
გ) რამდენ მოსწავლეს არ შეხვდა ნაყინი?
დ) რამდენ მოსწავლეს შეხვდა 2 ნაყინი?

საზაფხულო ბანაკში 36 ბავშვი ისვენებდა. ვიქტორინისთვის ბავშვები 9 ჯგუფად გაყვეს. თითოეულ ჯგუფში თანაბარი რაოდენობის ბავშვი აღმოჩნდა.

ა) რამდენი გოგონა იყო თითოეულ ჯგუფში?
ბ) რამდენი ბიჭი იყო თითოეულ ჯგუფში?
გ) რამდენი ბავშვი იყო თითოეულ ჯგუფში?
დ) რამდენი ბავშვი დარჩა ჯგუფის გარეშე?

ბებიამ ქათმის 28 კვერცხი ოთხ ყუთში თანაბრად გაანაწილა და ბაზარში გასაყიდად წაიღო.

ა) რამდენი კვერცხი გაყიდა ბებიამ?
ბ) რამდენი კვერცხი გაუტყდა ბებიას?
გ) რამდენი კვერცხი ჩადო ბებიამ თითოეულ ყუთში?
დ) რამდენი კვერცხი დარჩა ბებიას გასაყიდი?

მაგიდაზე დასადგამ პატარა ნაძვის ხეს 9 ტოტი აქვს. ნათიამ თითოეულ ტოტზე თანაბარი რაოდენობის სათამაშო ჩამოკიდა, სულ _ 45.

ა) რამდენი სათამაშო ჩამოკიდა ნათიამ ნაძვის ხის თითოეულ ტოტზე?
ბ) რა ფერის სათამაშოები ჩამოკიდა ნათიამ ნაძვის ხეზე?
გ) რამდენი წითელი სათამაშო ჩამოკიდა ნათიამ ნაძვის ხეზე?
დ) რამდენი სათამაშო დარჩა ნათიას ნაძვის ხეზე ჩამოსაკიდი?

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
USAID BASIC EDUCATION PROGRAM
RTI INTERNATIONAL

გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 32 + 18 ბ) 32 – 18 გ) 30 _ 18 დ) 32 – 14	დანარჩენი კი _ კარტოფილის. კარტოფილის რამდენი ღვეზელი გამოაცხო ბებიამ? ბებიამ 32 ღვეზელი გამოაცხო. გამომცხვარი ღვეზელებიდან ხორცის 18 ღვეზელი იყო,
გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 30 + 6 ბ) 30 – 6 გ) 24 : 6 დ) 24 – 6	ხოლო 24 კი _ ფერადი კენჭი. ვატომ სანაპიროზე თეთრი და ფერადი კენჭები შეაგროვა. ვატოს შეგროვებულ კენჭებს შორის 6 თეთრი კენჭი იყო. სულ რამდენი კენჭი შეაგროვა ვატომ?
გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 16 : 4 ბ) 32 : 4 გ) 32 : 8 დ) 16 : 8	ნათიამ სანდროს სთხოვა ფანქრები ოთხ-ოთხად შეეკრა. რამდენი შეკვრა გამოუვიდა სანდროს? მაგიდაზე 32 ფანქარი იდო. სანდრომ ნათიას თხოვნა მალევე შეასრულა.
გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 20 × 4 ბ) 20 × 5 გ) 100 : 5 დ) 10 × 4	ჩხირების თითოეულ კონაში 5 ჩხირი იყო. მან სულ სათვლელი ჩხირების 20 კონა შეკრა. სულ რამდენი ჩხირი შეკრა გიორგიმ კონებად? გიორგი სათვლელ ჩხირებს რეზინით კონებად კრავდა.
გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 16 _ 8 ბ) 16 + 8 გ) 16 : 8 დ) 24 + 8	ბავშვები დარბაზში კალათბურთს თამაშობდნენ. ზაზამ პირველ ტაიმში 16 ქულა მოაგროვა. რამდენი ქულა მოაგროვა ზაზამ მე-2 ტაიმში? მე-2 ტაიმში კი _ 8 ქულით მეტი, ვიდრე პირველ ტაიმში.
გამოჭერი ოთხივე წინადადება და ააწყე ამოცანა. რომელი გამოსახულება დაგეხმარება კითხვაზე პასუხის გაცემაში? ა) 120 _ 6 ბ) 120 : 8 გ) 120 : 6 დ) 60 : 6	მათ სახლის აშენებას 120 დღე მოანდომეს. რამდენი დღე მოანდომეს მშენებლებმა სახლის გადახურვას? მშენებლები მაღალსართულიან სახლს აშენებდნენ. სახლის გადახურვას კი 6-ჯერ ნაკლები დრო მოანდომეს, ვიდრე აშენებას.